საგაზეთო ჩანართი
# ინტელექტი
ნაბიჯ-ნაბიჯ რეალური თვითმმართველობისაკენ
№5 / 2010

# „კარგი დარჩება, ხარვეზები გასწორდება – ამ იმედით წავედი არჩევნებზე“



პროექტის „ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ფარგლებში თემებში მივლენილი განმანათლებლებმა საქმიანობა დაასრულეს. რა შეიცვალა მოსახლეობისთვის, რომელიც მონაწილეობას იღებდა აღნიშნულ პროექტში, განმანათლებლებთან ურთიერთობის შემდეგ, დაეხმარა თუ არა ამომრჩევლებს განმანათლებლებისგან მიღებული ინფორმაცია 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არჩევანის გაკეთებაში? – ამ კითხვებით გაზეთმა „ინტელექტმა“ ბენეფიციარებს მიმართა.

თუ გავითვალისწინებთ პროექტში მონაწილე ბენეფიციარების კომენტარებს, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მოსახლეობის ინფორმირების ეს მეთოდი წარმატებული აღმოჩნდა. 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ბევრმა ამომრჩეველმა სწორედ განმანათლებლისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მიიღო მონაწილეობა, ბევრმა ახლა მიხვდა, სასურველი მაჟორიტარობის კანდიდატი რომ უნდა აირჩიოს და არა ახლობელი, ბევრისთვის კი საკრებულოს არსებობის დანიშნულება და კანდიდატების ფუნქცია-მოვალეობები იყო უცხო.

დაბა ხელვაჩაურში მ. აბაშიძის ქუჩის №6-ში მცხოვრებლები განმანათლებელთან – ნანული ჯაფარიძესთან საუბრის შემდეგაც არა ერთხელ მიუბრუნდნენ ამ საკითხს. საკამათო ბევრი აქვთ: ყველა მუნიციპალიტეტში განმანათლებლები ნამდვილად ერთსა და იმავეს ლაპარაკობენ ყველასთან თუ სხვებს სხვა თემებზე ესაუბრებიან; არასამთავრობოებს მართლა ხალხი აინტერესებთ თუ ისინიც მთავრობასავით ვალს იხდიან; განმანათლებლების მუშაობა შედეგს გამოიღებს თუ არა და ასე შემდეგ.

მაშინ, როცა ხელვაჩაურელებს ნანული ჯაფარიძე სტუმრობდა, საბრიე საფარიძე სახლში არ იყო. მას ამბავი მეზობლებმა შეატყობინეს. ადგილობრივი ხელისუფლება და არჩევნები დიდად არ აინტერესებდა, მაგრამ ახლა გული წყდება განმანათლებელს რომ ვერ მოუსმინა. „თურმე ძალიან კარგად ილაპარაკა, თქვენს ორგანიზაციაზეც უთქვამს, არჩევნებზე, მთავრობაზე... მაინც და მაინც იმ დღეს არ ვიყავი სახლში. მეზობლებმა რომ მითხრეს, რაც ულაპარაკია, დამაინტერესა. თურმე ერთ ხმასაც მნიშვნელობა ჰქონია. ადრე არც მივდიოდი არჩევნებზე, ახლა ავდექი და წავედი. ხმა იმას მივეცი, ვისი იმედიც მაქვს და დარწმუნებული ვარ, არ ვინანებ. თუ არ გაამართლებს, მივალ და პასუხს მოვთხოვ“ – ამბობს ქალბატონი საბრიე. ნინა ხინკილაძემაც 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე განმანათლებელთან საუბრის შემდეგ გადაწყვიტა წასვლა. ახლა ეამაყება, რომ თავისი ვალი მოიხადა ქვეყნის წინაშე და თავისი წილი ბიულეტენი გამოუყენებელი არ დარჩა: „მეგონა, ბევრი ვიცოდი არჩევნებისა და საკრებულოს შესახებ. თურმე ვცდებოდი და ყველაზე მარტივი და აუცილებელი არ მცოდნია; ანუ ის, რომ ყველა თემში თითო მაჟორიტარს ვირჩევთ და სიით 10 წევრი გადის. ამის არცოდნა არ მეპატიება. არც ის ვიცოდი, ჩემს ხმას ამხელა მნიშვნელობა თუ ჰქონდა, ფაქტობრივად, მე ვწყვეტ ჩემს მომავალს და 100%-ით რომ დარწმუნებული ვიყო გააყალბებენ, მაინც წავალ არჩევნებზე. ჩემს ხმას არ დავკარგავ. აქამდე ხმის მიცემა კანდიდატის დაფასება მეგონა, ახლა ვხვდები, რომ ჩემს თავს ვცემ პატივს და არა კანდიდატს“.

„ეს პროექტი საუკეთესო საშუალება მოსახლეობის გამოსაფხიზლებლად. განმანათლებლების საქმიანობა ძალიან მომეწონა. ფაქტია, პროექტი პირდაპირ შედეგზეა ორიენტირებული. განმანათლებლებიც სწორად არიან შერჩეულები. ბევრს ვიცნობ პიროვნულად, ფსიქოლოგიურად მომზადებული და ტრენინგგავლილები არიან. ჩვენთან ქალბატონი ნანული ჯაფარიძე იყო მოსული. ყველას თავის ენაზე ელაპარაკებოდა. კარგად იცოდა, როგორ დაემყარებინა ურთიერთობა მოსახლეობასთან. ისე ლაპარაკობდა, რომ სულ უინტერესოდაც დააინტერესებდა. აშკარად ამ საქმისადმი კეთილგანწყობილი იყო. კარგად ისაუბრა არჩევნების მნიშვნელობაზე... ალბათ, საარჩევნო სუბიექტიც სიამოვნებით მოისმენდა და არ დაიღლებოდა. ამისთვის დროს უსათუოდ გამონახავდა. იქნებ, ბევრს არ აინტერესებდა, მაგრამ მოისმინა. ეს კი ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ელემენტარულად მოსმენის კულტურის ჩამოყალიბებას და „ხელის აქნევა“ აღარ იქნება. სხვათა შორის, ნანული ჯაფარიძემ ურთიერთობაც გვასწავლა ცხვირაბზუებულებთან“ – ამბობს ლუიზა ვარშანიძე. იგი „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის კოორდინატორია. მას არაერთი არჩევნები ჩაუტარებია, როგორც გრძელვადიან დამკვირვებელს. იგი 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებსაც აკვირდებოდა. თეორიისა და პრაქტიკის შერწყმით ადგილობრივი თვითმმართველობისა და არჩევნების თითქმის ყველა დეტალი შეისწავლა. სულ ცოტა ათამდე არჩევნებს დააკვირდა და როგორც ამომრჩეველი მონაწილეობდა ყველა არჩევნებში, მაგრამ ეზოში მისულ განმანათლებელს მაინც სიამოვნებით მოუსმინა.

განმანათლებელთან საუბრის მერე არჩევნებში მონაწილეობა გადაწყვიტა საიმე ბეჟანიძემაც. „ძველ საკრებულოს რაც კარგი ჰქონდა, დარჩება, რაც ხარვეზი – გამოსწორდება, ამის იმედით წავედი არჩევნებზე“ – აცხადებს ის.

პროექტი „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ პირველ მაისში მცხოვრებ ვლადიმერ თებიძესაც მოეწონა. იგი მიიჩნევს, რომ „საჭირო პროექტი იყო, მითუმეტეს არჩევნების წინ. ბევრმა ამ პროექტის წყალობით მიიღო არჩევნებში მონაწილეობა“. რადგან პროექტი მოეწონა და შესაბამისი საკითხებით დაინტერესდა, ვლადიმერ თებიძე ამავე პროექტში ბენეფიციარების კონკურსშიც აპირებს მონაწილეობის მიღებას.

შესრულებული საქმიანობით კმაყოფილნი არიან თავად განმანათლებლებიც. ისინი ირწმუნებიან, რომ მუშაობით არ გადაღლილან და მიღწეული შედეგი ამად ღირდა. „ეს იყო ძალიან სასარგებლო პროექტი ჩვენი მოსახლეობისთვის. ისინი იმდენად არიან შეწუხებულნი თავიანთი პრობლემებით, რომ მსგავსი საკითხებისთვის დრო აღარ რჩებათ. ჩვენი, ანუ განმანათლებლების ადგილზე მისვლით ეს ხალხი იძულებული გახდა მოესმინა, ინტერესის თუ არა, ზრდილობის გამო მაინც. მიხარია, რომ 30 მაისის არჩევნებზე მოსახლეობის აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო და ამ აქტიურობის მიზეზი ჩვენ ვიყავით. როცა კარდაკარ დავდიოდი, ხალხი მეუბნებოდა ასეთი რამ ჯერ არ გვახსოვს, ასე ჩვენთვის არასდროს არავის არაფერი უსწავლებიაო,“ – ამბობს განმანათლებელი ნანული ჯაფარიძე. მისი აზრით „პროექტმა „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ დასახულ მიზანს უკვე მიაღწია.“ აღნიშნულთან დაკავშირებით განსხვავებული აზრი აქვს განმანათლებელ დავით სამნიძეს: „შედეგების მხრივ პროექტი ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდა. შეიძლება ეს ჩვენი ბრალიც იყო... ალბათ მარტო კონკურსი არ კმაროდა მოსახლეობის გამოსაფხიზლებლად და გასააქტიურებლად.“

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტში“ პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ მიმდინარეობას განმანათლებლების საქმიანობასთან დაკავშირებით ასე აფასებენ:



*ირაკლი კახაძე*

**ირაკლი კახაძე, თემის მობილიზატორი:** „2006 წლის არჩევნების შემდგომ განვლილმა პერიოდმა გვიჩვენა, რომ მოსახლეობას ძალიან მცირე ინფორმაცია გააჩნდა საკრებულოს როლზე, მნიშვნელობასა და საერთოდ, საარჩევნო პროცედურებთან დაკავშირებით. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ან არ იღებს თვითმმართველობის პროცესებში მონაწილეობას, რამაც განაპირობა პროექტის ,,ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმართველობა“ განხორციელება.

განმანათლებლები თემებში კარდაკარ დადიოდნენ, ატარებდენ კრებებს, ხვდებოდნენ მოსახლეობას. თავიანთი თემის მცხოვრებლებს ესაუბრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე, საარჩევნო კოდექსზე, ადგილობრივი თვითმმართველობის კანონზე და საერთოდ, როგორი უნდა იყოს საკრებულოს წევრი, რა უფლებები და ვალდებულებები აქვს მას მოსახლეობის წინაშე.

შემიძლია სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, რომ განმანათლებლების მოსახლეობასთან შეხვედრის შემდეგ თემებში გაიზარდა მოსახლეობის ინფორმირებულობის დონე საარჩევნო კოდექსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის კანონის შესახებ, ამაღლდა მათი სამართლებრივი ცნობიერება. დღეს უფრო განათლებული და მოტივირებული მოსახლეობაა, ვიდრე 2006 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს იყო. ამომრჩევლებს უკვე შეუძლიათ თავისუფლად დააფიქსირონ თავიანთი აზრი და საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ხმებიც დაიცვან. 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მოსახლეობის აქტივობა 2006 წელთან შედარებით მაღალი იყო, რაც განმანათლებლების ეფექტურ მუშაობაზე მიუთითებს. განათლებული და მოტივირებული მოქალაქეები შეძლებენ მონაწილეობის მიღებას თვითმმართველობის პროცესებში“.



*ზურა გობაძე*

**ზურა გობაძე, თემის მობილიზატორი:** „ჩემი შეფასებით განმანათლებლებმა დაკისრებული სამუშაო პირნათლად შეასრულეს. რა თქმა უნდა იყო გარკვეული ხარვეზები, რაც გამოწვეული იყო მოსახლეობის მხრიდან არჩევნებზე ნეგატიური დამოკიდებულებით, მაგრამ მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ პროექტმა – „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა“ თავისი მისია შეასრულა. მოსახლეობას კიდევ ერთხელ შეახსენა მისი უფლება-მოვალეობანი და ის, რომ არჩევნებზე უნდა იაქტიურონ, გამოხატონ საკუთარი ნება კონკრეტული კანდიდატის მიმართ, ხოლო საჭიროების შემთხვევაში დაიცვან საკუთარი ხმა.“

**გივი ნიჟარაძე, თემის მობილიზატორი:** „განმანათლებლების მუშაობა იყო შრომატევადი. მათი საქმიანობა რომ ეფექტური იყო, ეს თვალნათლივ ჩანს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგებიდან. ჩვენმა განმანათლებლებმა თითოეულ ამომრჩეველს კიდევ ერთხელ შეახსენეს მისი უფლებები და მოვალეობები, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით აქვს მინიჭებული“.



*რენა ფერცელიძე*

**რენა ფერცელიძე, პროექტის იურისტი:** ვფიქრობ, რომ აღნიშნული პროექტი თავიდანვე იყო შედეგზე ორიენტირებული, რადგან პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების და კულტურის ამაღლება. ამომრჩევლთა ის ნაწილი ,რომელიც ამ პროექტმა მოიცვა, თავისი საარჩევნო უფლება-მოვალეობების შესახებ უკვე ინფორმირებული შეხვდა ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს, ეს კი ერთ-ერთი მთავარი საფუძველია სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად.

პროექტის მნიშვნელოვანი მიზანი იყო აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოპულარიზაცია, რადგან სწორედ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები წარმოადგენენ იმ რგოლს, რომლებსაც გააჩნიათ რეალური პასუხისმგებლობა უზრუნველყონ ეფექტური და მოსახლეობასთან დაახლოებული მმართველობა. თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მოსახლეობის აქტიურობისა და ჩართულობის ხარისხის გაზრდა კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პოპულარიზაციას.

მინდა მადლობა ვუთხრა ამ პროექტში მონაწილე ყველა განმანათლებელს, რადგან მათი მხრიდან ძალიან დიდი შრომა და ენერგია იქნა გაღებული პროექტის მიზნების განსახორციელებლად.



*ნათია გორგაძე*

# თავისუფალი არჩევანი წარმატების საწინდარია

წარმოუდგენელია, ავაშენოთ წარმატებული ქვეყანა წარმატებული ადამიანებით, თუკი მათ არ ექნებათ დამოუკიდებელი აზროვნება და ისინი არ იქნებიან განათლებულები. სწორედ ამის ერთ-ერთი წინაპირობა იყო ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ,,ინტელექტის" მიერ განხორციელებული პროექტი: ,,ჩვენი არჩევანი — რეალური თვითმმართველობა". პროექტის ფარგლებში ვიმუშავე განმანათლებლად. ეს პროექტი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი მოსახლეობისთვის. მათ ავუხსენი ადგილობრივი თვითმმართველობის არსი, ფუნქციები. Mმოსახლეობამ გაიგო, რამდენად მნიშვნელოვანია მოქალაქის ჩართვა ქვეყნის მართვაში, არჩევნებში მონაწილეობის მიღება და არჩევანის გაკეთება, რადგან თავისუფალი არჩევანის უნარი დღევანდელი პიროვნებებისა თუ საზოგადოების წარმატების საწინდარია.

დღეს ყველა მოქალაქეს შეუზღუდავად შეუძლია დააფიქსიროს თავისი არჩევანი, ამომრჩევლები, ასაკის მიუხედავად, ინფორმირებულნი უნდა იყვნენ საარჩევნო კოდექსის შესახებ.

წელს პირველად მივიღე მონაწილეობა ასეთ პროექტში. ჩემი დიდი სურვილი იყო, დავხმარებოდი ამომრჩეველს მისი უფლებების გაცნობაში. თითოეული მათგანი დარწმუნებული უნდა იყოს არჩევანის სისწორეში, რაც მისივე კეთილდღეობის წინაპირობა იქნება. მიხარია, რომ ბევრმა ამომრჩეველმა 30 მაისის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა სწორედ ჩვენი, განმანათლებლების მუშაობის შემდეგ გადაწყვიტა. დარწმუნებული ვარ, მათი არჩევანი გაამართლებს და არასოდეს ინანებენ ჩვენი ნათქვამი რომ გაითვალისწინეს.

თანამშრომლობა ,,ინტელექტთან" წარმატებული, საინტერესო და ნაყოფიერი იყო. Mმე, როგორც ეკონომიკის მასწავლებელს, მსურს მუდმივი კავშირი მქონდეს ამ ორგანიზაციასთან, რათა ასეთი პროექტების განხორციელებით ჩემი ცოდნა უკეთ გავუზიარო მოსახლეობას, მათ კი თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს განვითარებაში.

**ნათია გორგაძე**

# კონკურსი ამომრჩევლებისთვის

ამომრჩევლები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს პროექტში „ჩემი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა" ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" კონკურსს სთავაზობს. კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ იურისტებს, საჯარო მოხელეებს, საკრებულოს წევრებს, პროექტის მონაწილე განმანათლებლებსა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს.

კონკურსის მიზანია ამაღლდეს მოსახლეობის ინტერესი ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის მიმართ; დამოუკიდებლად დაიწყონ იმ საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების შესწავლა, რაც მათი უფლებების სრულად რეალიზების საშუალებას მისცემს; ადგილობრივი თვითმმართველობის პოპულარიზაცია

კონკურსი ჩატარდება წერილობითი ტესტირების ფორმით, რომელშიც შესული იქნება საკითხები საქართველოს კონსტიტუციიდან, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ორგანული კანონიდან, ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს კანონიდან, „საკრებულოს წევრის სტატუსის შესახებ" საქართველოს კანონიდან , საქართველოს საარჩვნო კოდექსიდან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსიდან (თავი მე-3-ე), საქართველოს საბიუჯეტო კოდექსიდან (მე-12, 13, 14) და შესაბამისი მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებიდან(საკრებულოსა და გამგეობის დებულება, ბიუჯეტი).

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ 2010 წლის 26 ივნისამდე.

კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად: მუნიციპალიტეტის და რეგიონის დონეზე. თითოეულ დონეზე გამოვლინდება სამი გამარჯვებული. მუნიციპალიტეტის გამარჯვებულებს გადაეცემათ სპეციალური სიგელები, ხოლო რეგიონის დონეზე გამოვლენილი სამი გამარჯვებული დაჯილდოვდებიან ფასიანი საჩუქრებით.

**დამატებითი ინფორმაციისათვის დაუკავშირდით თქვენი თემის განმანათლებელს ან დარეკეთ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის" ოფისში ნომერზე: (888 222) 4 16 50**

# კურიოზები

**განმანათლებლების მუშაობას თემებში ბევრი სირთულე და ამავე დროს სიხალისე ახლდა თან, ზოგიერთი იელოველი ეგონათ, ზოგიერთი ხელისუფლების აქტივისტი და ზოგიერთიც – ოპოზიციონერი. ყველაფრის მიუხედავად პროექტის „ჩვენი არჩევანი – რეალური თვითმმართველობა" ფარგლებში განხორციელებული ეს საქმიანობა წარმატებით დასრულდა. აჭარის ხუთი მუნიციპალიტეტის 63 თემში 92 განმანათლებელი მუშაობდა. მათ მოსახლეობის 2/3 მოიცვეს. მათ საჭირო დოკუმენტაციასთან ერთად კი ბევრი კურიოზი მოიტანეს:**

ნანა წულუკიძე: ერთ ოჯახში მოხუცი ქალი დამხვდა, ველაპარაკე, ავუხსენი ორგანიზაციის, თვითმმართველობის, არჩევნების შესახებ. ამისთვის დაახლოებით 20 წუთი დამჭირდა. რომ გამოვდიოდი და ვემშვიდობებოდი, მითხრა: ნენი, მე ბაღვობაში ლიმონკა ამიფეთქდა და ყურში არ მესმისო.

ზვიად შიშმანიძე: ჩაქვში, მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლში მივდიოდი განმანათლებლის ფუნქციის შესასრულებლად. ეზოში ერთი კაცი შემომხვდა. ავუხსენი, რისთვის ვიყავი მისული, მან კი მთელი სამეზობლო გამოიყვანა გარეთ, გამოდით, მთავრობიდან კაცია მოსული, სახლის სახურავი უნდა გაგვიკეთოსო. მე მივსდევდი, მთავრობიდან არ ვარ, არასამთავრობოდან ვარ-მეთქი, მაგრამ არც კი მისმენდა.

ლუიზა ხალვაში: ჯგუფ-ჯგუფად შეგროვილ ხალხთან მივდიოდი სასაუბროდ. ხელში წითელი ფაილი მეჭირა. თანამშრომელს დავუნახივარ „მარშუტკიდან" და ეს იელოველები ამ ხალხს კუდში დასდევენ და აშტერებენო, უთქვამს. მეორე დღეს იმავე ფაილით სკოლაში რომ დამინახა, გაგიჟდა, იელოველი მეგონე და თურმე შენ ყოფილხარო.

თეონა დიასამიძე: მამაჩემი დამყვებოდა ავტომანქანით. რომ გააჩერებდა, ძრავი აღარ „იქოქებოდა" და ყველა ბენეფიციარი „აწვებოდა" ჩვენს მანქანას.

ნანული დავითაძე: იმის დასტურად, რომ ნამდვილად დავდიოდით კარდაკარ, ბენეფიციარებს ხელს ვაწერინებდით. ამის გაკეთება არავის უნდოდა. ვუხსნიდი, რომ არასამთავრობოდან ვიყავი. ისინი კი ამბობდნენ: მაგენი ყველა ფულის მკეთებლები არიანო.

ნათია გორგაძე: ერთმა ამომრჩეველმა მკითხა: „უგულავას არჩევნები ჩვენ რათ გვინდაო?"

გოგიტა კოკობინაძე: სოფელში ვიწრო ბილიკით მივდიოდი. უცებ წავიბორძიკე, საქალალდე დამივარდა და გამეხა. ჩემმა „განათლებულმა" ბენეფიციარებმა კი სიცილი დამაყარეს.

დავით საფარიძე: ერთმა ქალბატონმა რატომღაც მიიჩნია, რომ ოპოზიციიდან ვიყავი და აგრესიულად შემხვდა. თვითონ აშკარად ხელისუფლების გულშემატკივარი იყო. არ მომისმინა და კინაღამ გამლახა, ხელისმოწერაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. 100 მეტრი გავიარე და კიდე მიყვიროდა, მთელ სოფელს გააგონა.

ვარდო ვარშანიძე: ერთ-ერთ ეზოში ძაღლმა არ შემიშვა. ხმაურზე პატრონი გამოვიდა, ძაღლი სადგომში დაამწყვდია და შემიპატიჟა. საიდანღაც მაინც გამოძვრა ის ძაღლი და ფეხზე მიკბინა.

– ერთ-ერთ ოჯახში ჩემმა განმანათლებლობამ წარმატებით ჩაიარა. ბენეფიციარმა მომისმინა, თავისი რეკვიზიტები ჩამაწერინა და ხელი არ მომიწერა, ხოჯა ვარ და ცოდვააო.

– ერთ ოჯახში მივედი და პირდაპირ მითხრეს: შენ რაც არ უნდა მელაპარაკო, მაინც 5 ნომერი უნდა მოვხაზოო.

– ერთი მთავრობაზე განაწყენებული ყოფილი ჩინოვნიკის ოჯახში მოვხდი. ამ კაცმა ჩვენთან საუბარი არ ისურვა, მე უნდა განმანათლოთო? მისი ცოლი დაგველაპარაკა. სანამ ამ ქალბატონს ველაპარაკებოდი, ყოფილი ჩინოვნიკი ხშირად წამოიძახებდა რაღაცას... როცა ტელეფონის ნომერს ვიწერდი, გადაირია: ხედავ? შენაც არ გენდობიან და უნდა გადაგამოწმონო!

– ერთმა ბენეფიციარმა შემიცოდა: რამდენ ოჯახში უნდა მიხვიდე? ყველგან ერთსა და იმავეს ლაპარაკობ? ცოდვა ხარ... აგერ ჩემი ოჯახი და ყველა ჩაგვწერეო.

ნარგულ ვარშანიძე: ერთ ოჯახში ძალიან დიდხანს მალაპარაკეს. ოჯახის უფროსი უამრავ კითხვას მისვამდა, ყველაფერი აინტერესებდა. ბოლოს სადილზე მიმიპატიჟეს. მასპინძელმა ბუკლეტები მაჩვენა, ეგ ყველაფერი ვიცოდი შვილო, იმისთანა მკვდარი ფერი გედო, აშკარად მოშიებული იყავი და სანამ გაამზადებდნენ, გალაპარაკე, რომ უსადილოდ არ გამეშვიო.

– ერთმა ბენეფიციარმა მკითხა: რომელი პარტიიდან ხარ? ჩუმად მითხარი და არსად ვიტყვიო.

– „ინტელექტის" იურისტი რენა ფერცელაძე იყო ჩემთან შემოწმებაზე. ერთ მოხუც კაცთან მივედით, კიკვაძეა გვარად. მასთან რომ ვიყავი ახსოვდა, მაგრამ „რაცხაზე ილაპარაკაო" უთხრა.

– სოფელ ფერიაში ჩემი 11 წლის შვილიც გამყვა. იქ 38 ადამიანს უნდა გავსაუბრებოდი. თურმე ბავშვი ყველაფერს იმახსოვრებს და ბოლოს ერთს უთხრა: ეეეჰ, მერამდენედ ერთსა და იმავეს ამბობსო...

– ერთ ამომრჩეველს ყველაფერზე ვესაუბრე, რაც განმანათლებლის ფუნქციაში შედიოდა. მისმინა და ბოლოს მკითხა, ჩემგან რა გინდაო? ხელის მოწერა და დადასტურება – ვუპასუხე მე. მერე აქამდე ვერ მითხარიო?

– ერთი ბენეფიციარი ჩემი საუბრით გაბრაზდა: „წყალდიდობამ დამტბორა, მთავრობამ არც წყალი გამიკეთა და არც „ტრუბები" მომცა... საკრებულო რაში მჭირდება? ჩემთვის ეგ ყველაფერი სულ ერთიაო.

– ერთი მოქალაქე ჩვენი მისვლით გაბრაზდა და განაცხადა: მე მოღალატე ხომ არ გგონივართ, რომ გამოცდებს მიტარებთ? მაინც 5-იანს მოვხაზავო!

ემზარ წულუკიძე: ერთმა ამომრჩეველმა მკითხა:  გიგი უგულავა რომ ავირჩიოთ, ჩვენ რა ხეირი გვექნებაო?

რამინ ზოიძე: ერთი ამომრჩეველი გაჯიუტდა: ხელს ვერ მოვაწერ, არჩევნები მოდისო.

თეონა კიკიეიშვილი: ამომრჩევლები კითხულობენ: „არჩეულ მაჟორიტარს სად უნდა მივაკითხოთ?"

მარინა საკანდელიძე: ზოგიერთი წყლის შესახებ მეკითხებოდა, ზოგიერთი – პენსიის... ჩვენ მთავრობა და არჩევნები არ გვაინტერესებსო!

გელა სურმანიძე: ერთ ბენეფიციარს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი" მოეწონა, „კარგი მიზნები და საქმიანობები ჰქონია. არასდროს არც ერთ პარტიაში არ ვყოფილვარ და ეს „პარტია" მომეწონა, კონკურსშიც მივიღებ მონაწილეობას და მინდა ამ პარტიის წევრი გავხდე. ყველა პარტიის ოპოზიცია რომაა, იმიტომ მომწონსო!"

– ბენეფიციარების ერთი ჯგუფი შეშინდა: ხელს არ მოგიწერთ, პარტიიდან რომ იყო, მერე ჩვენ რა გვეშველებაო?

– ერთ ამომრჩეველს ხელის მოწერა არ უნდოდა. მერე მკითხა: ტყუილად დადიხარ თუ ამაში ფულს გიხდიანო? როცა ჩემგან პასუხი მიიღო, მომიწერა: პარტიიდან იქნები მარა,რახან ხელფასი უნდა აიღო, ხელს ამიტომ მოგიწეროო.

– ერთ ოჯახში მოხუცებული ადამიანები დამხვდნენ. ვესაუბრე იმ ყველაფერზე, რაც პროექტით იყო გათვალისწინებული. ყველაფერი გასაგებიაო და დასტურად ხელიც მომიწერეს. წამოვედი და ოჯახის თავკაცმა უკან მიმაბრუნა: ყველაფერი გავიგეთ, მარა შენ რატომ იყავი მოსული, ეგ ვერ მივხდითო.


საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი"

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: თეონა კაკაციძე

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი"
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge